საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного Совета народных депутатов

№103 (6330) 30 აგვისტო 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერშია:

* რას გვპირდება ახალი საპენსიო კანონპროექტი (II; III გვ).
* მეტი მუშაობაა საჭირო
* საყურადღებო ნაშრომი (II გვ).
* დღეს სხვა მოთხოვნებია
* ჟურნალისტები გაფიცვით იმუქრებიან (III გვ).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

აფხაზეთის სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებების შესახებ

განიხილა რა აფხაზეთის სსრ უზენაესი საბჭოს მიერ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო თვლის, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შეცვლის სამართლებრივი თვალსაზრისით უსაფუძვლო ცდაა და საქართველოს სსრ, აფხაზეთის სსრ, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ამასთან, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს სრულიად მიუღებლად მიაჩნია რესპუბლიკის სუვერენული უფლებების და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ტერიტორიული მთლიანობის კონსტიტუციური უფლებების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება სესიის ჩატარების წესის დარღვევით, ანტიდემოკრატიული მეთოდების გამოყენებითა და დეპუტატთა მთელი კორპუსის აზრის გაუთვალისწინებლად, აფხაზეთის სსრ მთელი მოსახლეობის ნების გამოხატულების უგულებელყოფით.

ასეთი მოქმედება და გადაწყვეტილებები, რომლებიც აყალბებენ ისტორიულ ფაქტებსა და თანამედროვეობის პოლიტიკურ რეალიებს, ზიანს აყენებს ჩვენი მრავალეროვნული რესპუბლიკის ხალხთა ინტერესებს, ეროვნებათაშორის ურთიერთობებს, ართულებს დემოკრატიზაციის პროცესებს და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სადაც აფხაზი ხალხის ინტერესები. ისევე, როგორც რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა სხვა ხალხის ინტერესები, კანონით იქნება გარანტირებული და დაცული.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აფხაზეთის სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია და დადგენილება გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 26 ივლისის დადგენილებით შექმნილმა კომისიამ, რომელიც სწავლობს აფხაზეთის სსრ რესპუბლიკის მიერ აღძრულ ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს, სპეციალისტების, მეცნიერების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით უახლოეს დროში მოამზადოს წინადადებები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 26 აგვისტო.

ჩვენი დღეების ადამიანები

ალალი გულით

სიახლეებით, მოულოდნელობით აღსავსე დღევანდელ ცხოვრებაში, სულ უფრო მეტი ფასი ჰუმანურობას, ურთიერთდათმობას და ერთმანეთის ერთგულებას ენიჭება. სწორედ ასეთი თვისებებით აღჭურვილი ადამიანები ქმნიან უკეთესი ხვალინდელი დღის ამინდს.

ახალგაზრდა ქალია ორბელის საბავშვო ბაღის მედდა მალვინა ბურჯალიანი. უყვარს თავისი საქმე, პატარების ჯანმრთელობას გულმოდგინედ ადევნებს თვალ-ყურს. ამასთან კარგად აქვს შეგნებული, გათავისებული საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. უდავოა, რომ დღევანდელობა მეტ ნაყოფიერ შრომას ითხოვს, ქვეყნის მარჩენალ სოფელს გამრჯე მარჯვენის მადლი არ უნდა მოაკლდეს.

მალვინას და მის მეუღლეს ზაურ ბურჯალიანს იჯარით აქვთ აღებული 0.2 ჰექტარი სასიმინდე და 0.15 ჰექტარი ვენახის ნაკვეთები, ამინდმაც გაუმართლა მიწასთან ურთიერთობის მქონე ადამიანებს და ისინიც არნახული მოსავლის მოლოდინში არიან. მაღლარზე გაშენებული ოჯალეშის ჯიშის ვაზი დატვირთულია მტევნებით. ეჭვი არ არის, რომ შემოდგომის ბარაქა გაახარებს ახალგაზრდა მეუღლეებს.

სამსახურებრივი პასუხისმგებლობა. სამი შვილის მოვლა, კარმიდამოს მიხედვა დიდ და დაძაბულ შრომას ითხოვს. წელს შეიტყო რა აბრეშუმის პარკის წარმოების გაზრდას რესპუბლიკის ეკონომიკური ძლიერებისათვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, მალვინამ აბრეშუმის ჭიაც გაიყვანა მოსავლელად. თუმცა ამ საქმეში წინა წლების გამოცდილებაც ჰქონდა, მაგრამ წლევანდელი მოსავალი ყველაზე ბარაქიანი გამოდგა. 40 კილოგრამი ხარისხიანი პარკი მიუწონა მიმღებ პუნქტს.

მშვიდი, სიხარულით აღსავსე მომავალი ვუსურვოთ პატიოსანი შრომით შექმნილ, ბარაქით სავსე ამ ოჯახის ყველა ბინადარს.

ლ. მეგრელი.

ჩვენი საკ. კორესპონდენტი. სოფ. ორბელი.

შესაძლებლობა მეჯისა გვქონდა

დღეს ყველა ჭეშმარიტმა ქართველმა, ყველამ, ვისაც კი ოდნავ მაინც შერჩენია საღი აზრი და მამულიშვილური გრძნობა, იცის, კარგად ერკვევა, რომ საქართველოს, ჩვენს ერს ასეთი ძნელბედობის უამი არასოდეს ჰქონია. თავდაუზოგავი შრომა, ჩვენი საქმისათვის ერთგული ზრუნვა გვმართებს მანამ, სანამ რესპუბლიკას სრული პოლიტიკური თუ ეკონომიკური დამოუკიდებლობა არ მოუპოვებია.

პოლიტიკურ დებატებზე დროის ფლანგვა არას გვარგებს, ეს პოლიტიკური პარტიების პრეროგატივაა და თითოეულმა მშრომელმა აქტიურად უნდა ვიზრუნოთ, რომ შევქმნათ პროდუქცია, ჩვენს საქმეს მივხედოთ და რესპუბლიკის გაჯანსაღებისათვის, რითაც და როგორადაც შეგვიძლია ისე ვიზრუნოთ.

აგერ უკვე ერთი თვეა, რაც რაიონის მეაბრეშუმეებმა წლის პირველი მოსავალი მიუწონეს სამშობლოს, 20,3 ტონა აბრეშუმის პარკი მიაწოდეს ჩვენს მრეწველობას. გეგმა შესრულდა, რამდენიმე ასეული კილოგრამი გადაჭარბებითაც იქნა მოწეული, მაგრამ იმდენად, რამდენადაც შესაძლებლობის მაქსიმუმი კი არა, მინიმუმიც არ იქნა გამოყენებული, დამშვიდების უფლება სრულებითაც არ გვაქვს. არადა სეზონის დაწყებისას თითქოსდა მთელი ენთუზიაზმით შევუდექით საქმეს, რაიონული გაზეთის ფურცლებიდან ხმამაღლაც იყო ნათქვამი, რომ რადგან ქართულ აბრეშუმს უცხოეთის ბაზარზე კარგი გასავალი აქვს, ზეგეგმით წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე თავისუფლად გატანის უფლება გვაქვს, 3 ტონამდე აბრეშუმის პარკის ზეგეგმით წარმოება იყო ნავარაუდევი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ფასის, კილოგრამი აბრეშუმის პარკის ღირებულების გაორმაგებაზეც იყო ზემოდან დაპირება, მაგრამ... თუმცა ბევრი ჩვენი მეაბრეშუმე არც ამას დაუინტერესებია, ჩვეულ ხერხს მიმართა და როგორც გასულ წლებში, არც წელს დაუხევია უკან, აბრეშუმის მური უკან მიუხედავად გადაყარა. ბევრი ოჯახის ქალი კი ისე დაინტერესდა, რომ ადრე თუ 30-40 კილოგრამი აბრეშუმის პარკს იწევდა, წელს მოსავალი ორმაგად და მეტად მოიწია. რაიონის ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობამ შეასრულა გეგმა, გარდა უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და ალპანის კოლმეურნეობისა, სადაც ყველა რეზერვი და საშუალება იყო, რომ გეგმა გადაჭარბებითაც კი შეესრულებინათ. არადა რაოდენ გულსატკენია, რომ სოფლის მშრომელთა კარ-მიდამოები, ჩვენი უმდიდრესი ტყეებიც კი სავსეა თუთის ფოთლით, ჩვენ კი ისე დავმდაბლდით, რომ მაღალი ანაზღაურების ფასად ეს ეროვნული საქმე გვერდზე გადავდეთ და ჯონჯოლის, მაყვლის, შინდის შესაგროვებლად კი არც თავს ვზოგავთ და არც ტყეებს.

ასე რომ, მართალია აბრეშუმის პარკის დამზადების წლევანდელი მაჩვენებელი საგეგმო დავალების შესრულებას კი გვიჩვენებს, მაგრამ გულსატკენი ისაა, რომ შესაძლებლობას ვერ ვიყენებთ. ჯერ კიდევ ვერ მივედით იქამდე, რომ ერის ტკივილი წყლულად გვაჩნდეს, ერთი სატკივარი გვაწუხებდეს ყველას, საერთო და სასარგებლო საქმისთვის ყველა ერთნაირად ვირჯებოდეთ, არადა წინა წლებში, როცა ასე გასიგრძეგანებული, განსჯილ-გააზრებული არ გვქონდა ის გასაჭირი, რის წინაშეც ახლა ასე, აშკარად ვდგავართ, წლევანდელზე მეტი აბრეშუმის პარკი გვაქვს, ნაწარმოები. ამ ორიოდე წლის წინ კი 23 ტონა აბრეშუმის პარკიც გვაქვს მიღებული და წელს რა ღმერთი გაგვიწყრა?

(დასასრული მე-2 გვერდზე).

რაიონული საბჭოს აღმასკომში

მეტი მუშაობაა საჭირო

რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების, საკასო და ფასიანი მომსახურების გეგმის შესრულებისათვის რაიონის წარმოება-დაწესებულებების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში რაიონში მეტი ყურადღება ექცევა ცალკეულ საწარმოთა და დაწესებულებათა საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებებს, რამაც გარკვეული დადებითი შედეგებიც გამოიღო. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დღემდე რაიონის საწარმოთა საკუთარ საბრუნავ სახსრებში დანაკლისი 154 ათასი მანეთით შემცირდა. შემცირდა აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთი 337 ათასიდან 22,6 ათას მანეთამდე. დებიტორული დავალიანება—341 ათასიდან 229 ათას მანეთამდე, ხოლო ბანკის სესხის ვადაგადაცილებული დავალიანებები 1001 ათასიდან 751 ათას მანეთამდე, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი საწარმოთა მოგების გადიდებას. ნაცვლად 286 ათასი მანეთისა მიღებულია 321 ათასი მანეთის მოგება.

საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღების საქმეში უკეთესი შედეგები აქვთ მოპოვებული ღვინის ქარხანას, რაიკოოპერატივს, კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს.

ამასთან აღინიშნა, რომ რაიონის რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო ხელმძღვანელთა მიერ საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის გაწეული მუშაობა არაკმარისი და არასტაბილურია, რის გამოც კვლავ დიდია დანაკლისი საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის, სარემონტო სამშენებლო უბნის საკუთარ საბრუნავ სახსრებში, ვერ შეძლეს შეემცირებინათ დებიტორული დავალიანებები მრავალდარგობრივი საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაერთიანებამ, სარემონტო სამშენებლო უბანმა, ავტოსატრანსპორტო საწარმომ, რაც გარკვეულად აფერხებს მათ სამეურნეო საქმიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ 1 იანვრიდან შეინიშნება ბანკისა და მომწოდებლის ვადაგადაცილებულ დავალიანებათა შემცირების ტენდენცია, ასეთი დავალიანებები ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით ერიცხებათ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციას (51 ათასი მანეთი), ადგილმრეწველობის კომბინატს (133 ათასი მანეთი), სატყეო მეურნეობას (54 ათასი მანეთი), რაიკოოპერატივს (42 ათასი მანეთი), რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანას (27 ათასი მანეთი), მრავალდარგობრივი საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაერთიანებას (12 ათასი მანეთი), რაც კიდევ უფრო აუარესებს აღნიშნულ საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას.

არასაკმარისია მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაფართოების მიზნით კულტურის განყოფილების, სპორტკომიტეტის, საგზაო სამმართველოს, მრავალდარგობრივი საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაერთიანების, სახელმწიფო სატყეო მეურნეობის, საზოგადოება „ცოდნის“, რაისაავადმყოფოს სამეურნეო ხელმძღვანელთა მიერ გაწეული მუშაობა, რომელთაგან მიმდინარე წლის 7 თვეში მოსახლეობას გაეწია დაგეგმილთან შედარებით 50 პროცენტზე ნაკლები მომსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ 1990 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ კოოპერატივების ხარჯზე კიდევ უფრო გაზარდა მოსახლეობისათვის უნაღდო ანგარიშსწორებით ფასიანი მომსახურების რეალიზაციის პრაქტიკა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამმართველომ მიმდინარე წლის 7 თვეში საკუთარი საშუალებებით მომსახურების მოცულობა 32 ათასი მანეთით შეამცირა, ხოლო კოოპერატივების მიერ გეგმაში ჩათვლილი 200 ათასი მანეთის მომსახურებიდან მხოლოდ 33 ათასი მანეთი შესრულდა ნაღდი ანგარიშსწორებით.

ძალზე არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა რაიონში საკასო გეგმის საშემოსავლო ნაწილის შეუსრულებლობით, რაც დიდ დაბრკოლებას ქმნის ნაღდი ფულით ანგარიშსწორების საქმეში. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის ნაღდი ფულის შემოსავალი 237 ათასი მანეთით შემცირდა. საკასო გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან რაიკოოპერატივი, ავტოსატრანსპორტო საწარმო, კულტურის განყოფილება, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო. ხოლო კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს ნაცვლად გეგმური 160 ათასი მანეთისა შეტანილი აქვს ბანკში 34 ათასი მანეთი, მაშინ როცა ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების ყველა მაღაზია ნავაჭრ თანხას კავშირგაბმულობის შესაბამის განყოფილებებს აბარებს. საკასო გეგმის შესრულებაში თითქმის ვერავითარ მონაწილეობას ვერ ღებულობენ რაიონში მოქმედი კოოპერატივები, რომელთა მიერ მიმდინარე წლის 6 თვეში ბანკის სალაროში შეტანილია ნაღდი ფულის სახით მხოლოდ 23 ათასი მანეთი, მაშინ, როცა ამავე პერიოდში მათ სალაროდან, გარდა შრომის ხელფასისა, გამოიტანეს ნაღდი სახით 437 ათასი მანეთი.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით სარემონტო სამშენებლო უბნის, საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის, მრავალდარგობრივი საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაერთიანების, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, სახელმწიფო სატყეო მეურნეობის, წიფერჩის რკინა-ბეტონის ქარხნის ხელმძღვანელთა მიერ გაწეული მუშაობა ჩათვალა არასაკმარისად და მიიღო გადაწყვეტილება მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

საყურადღებო ნაშრომი

ახლახანს გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა და მალე გამოვა წიგნის მაღაზიებში სარეალიზაციოდ ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის დავით კაპიტონის ძე კოპალიანის ნაშრომი—სახალხო განათლება და კულტურა რევოლუციამდელ საქართველოს მთიან რაიონებში (რაჭა, ლეჩხუმი და სვანეთი).

ნაშრომში ავტორი მიმოიხილავს დასახელებული რაიონების განათლებას და კულტურას უძველესი პერიოდიდან მე-19 საუკუნის შუა წლებამდე, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე პერიოდში სწავლა-განათლების და კულტურის საკითხები უფრო ღრმად არის განხილული.

დღევანდელი გარდაქმნა და განახლება, გულისხმობს, ცოდნასა და ტრადიციებთან იმ წარსულისადმი, იმ პედაგოგიური და კულტურული ფასეულობებისადმი, რაც ჩვენს ერს გააჩნია და და რისი განუყოფელი ნაწილიცაა რაჭა, ლეჩხუმი და სვანეთი, რაზედაც წარმოდგენილ ნაშრომშია საუბარი.

ნაშრომს შემეცნებით ღირებულებებთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. რევოლუციამდელი პერიოდის დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოღვაწეობდნენ პედაგოგები, რომელთა ნააზრევი და პრაქტიკული გამოცდილება დღესაც გასათვალისწინებელია.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს პედაგოგიური დარგის მუშაკებს და ამ საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას მთიან კუთხეებში რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში სახალხო განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლაში.

შესაძლებლობა მეტისა გვქონდა

(დასასრული).

კვლავ მწვავედ ისმის ის პრობლემები, რაც ჩვენს ყოფაცხოვრებაში ასე აშკარად იგრძნობა, ძნელია სათქმელად მაგრამ ერს ძნელზე-ძნელი, შეიძლება ითქვას ყოფნა არყოფნის პერიოდი უდგას, ადამიანის ყველანაირი მოქმედება—ქველმოქმედება იქნება ეს თუ მისი საპირისპირო—ბოროტება აშკარად ხელისგულივით ჩანს, არავინ იფიქროს, რომ რაიმე დაიმალოს, ჩვენც ხელთა გვაქვს იმათ სრული სია, ვინც აბრეშუმის მური ჩაიბარა, შემდეგ კი გაანადგურა. და რომ უფრო კონკრეტულნი ვიყოთ, სამომავლოდ განზრახული გვაქვს გაზეთის ფურცლებზე გამოვააშკაროთ ისინი.

ასე, რომ ამ ძნელბედობის ყამს მხოლოდ ერთი გზა დაგვრჩენია, ის რაც ჩვენია, ტრადიციული ქართულია, ჩვენვე შევძლოთ მისი მოხმარება, თუ არა ჩვენს პოტენციალს, ჩვენს შესაძლებლობებს სხვა რომ დაეპატრონება, უკვე გვიან იქნება თითზე კბენანი და სხვა რომ არა, ამ ცოდვას ჩვენი მომავალი არ შეგვაპატიებს.

ზ. თაგვაძე,

სათაო პარკსაშრობის დირექტორი.

რას გვპირდება ახალი

როგორც ცნობილია მიმდინარე წლის 15 მაისს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებით მიღებული იქნა სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“, რომელიც ძალაში შევა 1990 წლის 1 ოქტომბრიდან ეტაპობრივად, 1993 წლის 1 ივლისამდე. კანონში ბევრი სიახლეა, რიგი მუხლები და ქვემუხლები ძნელი გასაგებია მშრომელთათვის. ამიტომ ვბეჭდავთ რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის საქმისტროს საორგანიზაციო მეთოდური მუშაობისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსის ირინე ლლოხეტის მეთოდურ წერილს ახალი საპენსიო კანონის შესახებ.

ქვეყნის შრომისუნუნარო მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა ძირითადად დამოკიდებულია საპენსიო უზრუნველყოფაზე. ამ კატეგორიის მოქალაქეთა რაოდენობა კი ყოველწლიურად იზრდება. თუ 1980 წელს 100 შრომისუუნარო მოქალაქეზე 32 პენსიონერი მოდიოდა, 1989 წლისათვის ეს ციფრი 37-მდე გაიზარდა.

ამჟამად საბჭოთა კავშირში 60 მილიონზე მეტი პენსიონერია, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში—1 მილიონ 14 ათასი. საპენსიო უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება სსრ კავშირის 1956 წლის 15 ივლისის სახელმწიფო პენსიების კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 1956 წლის 1 ოქტომბრიდან. ამ დროის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, მოძველდა და შეუსაბამო გახდა.

1989 წლის 1 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონი „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური მომსახურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც შეეხო არა ყველა პენსიონერს, არამედ მხოლოდ გარკვეულ ნაწილს. შემოღებულ იქნა საპენსიო უზრუნველყოფის ერთიანი პირობები მუშების, მოსამსახურეების და კოლმეურნეთათვის. კოლმეურნეებს გაეზარდათ პენსიის მინიმალური ოდენობა: მოხუცებულობისა და მეორე ჯგუფის ინვალიდობის გამო 70 მანეთამდე (ე. ი. მინიმალური ხელფასის დონემდე), I ჯგუფის ინვალიდობის გამო 85 მანეთამდე, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებისათვის 60 მანეთამდე და ა. შ.

აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 1989 წლის 1 ოქტომბრიდან, მაგრამ მარტო ამით არ ამოწურულა სსრ კავშირის 1989 წლის 1 აგვისტოს კანონის სიახლენი.

1990 წლის 1 იანვრიდან მუშებსა და ოსტატებს მუშაობის პერიოდში მოხუცებულობის პენსიები (მათ შორის პერსონალური) ეძლევათ სრულად, ხელფასის მხედველობაში მიუღებლად.

—მომუშავე ინვალიდებს (I-II-III ჯგუფი) პენსია ეძლევათ სრულად (მათ შორის პერსონალური პენსიები) ხელფასის მხედველობაში მიუღებლად.

70 მანეთამდე გაიზარდა ბავშვობიდან I და II ჯგუფის ინვალიდების, აგრეთვე ინვალიდი ბავშვების (16 წლის ასაკამდე) ყოველთვიური დახმარების ოდენობა და ამით საბოლოოდ დამთავრდა საპენსიო რეფორმის პირველი ეტაპი.

მიმდინარე წლის 15 მაისს მიღებულ იქნა სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც ძალაში შევა 1990 წლის 1 ოქტომბრიდან ეტაპობრივად, 1993 წლის 1 ივლისამდე.

ამ კანონის არსებითი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ კანონის ძალაში შესვლამდე აღნიშნული პენსია არავის არ შეუმცირდება, მომატებით კი ბევრს მოემატება.

ამჟამად მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, ახალი საპენსიო კანონის შესაბამისად, შრომით პენსიაზე უფლება მოიპოვეს მოქალაქეებმა, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწევიან, მათ შორის ინდივიდუალური (ჯგუფური) იჯარის პირობებში, ან პირად გლეხურ მეურნეობაში იმ პირობით, თუ სსრ კავშირის საპენსიო ფონდში გადახდილი აქვთ სადაზღვევო შესატანები, აგრეთვე იმ პირებმა, რომლებიც უვლიან I ჯგუფის ინვალიდებს, 16 წლამდე ასაკის ინვალიდ ბავშვებს, ან 80 წელს მიღწეულ მოხუცებს.

ახალი საპენსიო კანონი პენსიის გამოანგარიშების სრულიად ახალ მექანიზმს გვთავაზობს. შრომითი პენსიის გამოანგარიშება მოხდება პენსიაზე მიმართვამდე უკანასკნელი 15 წლიდან ზედიზედ ერთ-ერთი ხუთი წლის ხელფასიდან, ამასთან თუ საშუალო ხელფასი არ აღემატება მინიმალური ხელფასის ოთხჯერად ოდენობას, რაც დღეისათვის 280 მანეთს შეადგენს. იგი მთლიანად მიიღება მხედველობაში პენსიის გამოსაანგარიშებლად, ხოლო თუ აღემატება ამ თანხას, მაშინ გამომუშავების ყოველი შემდგომი ნაწილი

საბჭოები და ცხოვრება

დღეს სხვა მოთხოვნებია

დაჩქარება და რადიკალური გარდაქმნა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, ეს არის კურსი, რომელიც ყველა საფეხურის საბჭოების მოქმედების კანონი გახდა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი და მეორე ყრილობების, საქართველოს სსრ უზენაესი და უმაღლესი საბჭოების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში დიდია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლი და ამოცანები.

წიფერჩის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ო. ხეცურიანი) ხელმძღვანელობს რა სსრ კავშირის, საქართველოს სსრ უზენაესი და მინისტრთა საბჭოების მიერ მიღებული საპროგრამო დოკუმენტებით, გარკვეულ მუშაობას ეწევა რეგიონის სოციალურ-კულტურული განვითარების, მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საბჭოს სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე ახლა უფრო საქმიანად განიხილავენ სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ, მოსახლეობის ჯანმრთელობის, კულტურული, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლების შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს, სახავენ ღონისძიებებს, იბრძვიან მათი შესრულებისათვის და გარკვეულ შედეგებსაც აღწევენ.

საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობით, დეპუტატთა ინიციატივითა და აქტივის მხარდაჭერით ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა სასოფლო გზების, სასმელი წყლების და მოსახლეობის კეთილდღეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგებისათვის. ცაგერი-ჟუთაისის ცენტრალური გზიდან სოფელ ქულბაქამდე კეთილმოეწყო სამანქანო გზა და რეგულარულად დადის ავტობუსი. მოიხრეშა წიფერჩში ქომეთიანებისა და სილაგაძეების უბნის სამანქანო გზა. გაკეთდა რკინა-ბეტონის ხიდი სოფელ ლარჩვალის ღელეზე, აიგო ორი ახალი ხიდი მდინარე ჯონოულზე. რემონტი ჩაუტარდა ჩქუმის სასოფლო კლუბს.

გააქტიურდა ზოგიერთი მუდმივი კომისიის საქმიანობაც. ისინი ახლა უფრო მიზნობრივად, გაბედულად ხელმძღვანელობენ სოფლის მშრომელთა მტკივნეული საკითხების გადაწყვეტას. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების საქმიანობა (ხელმძღვანელები ო. ხეცურიანი, გ. ხეცურიანი). მკვეთრად შემცირდა ნეგატიური მოვლენები, მეზობლური დავები და ოჯახური კონფლიქტები, მაგრამ ამ მიმართულებით გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

ბოლო წლებში ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ მიღწეული ერთი წუთითაც არ აძლევს დამშვიდების უფლებას საბჭოს აღმასკომს, დეპუტატებს, აქტივს. ბევრია გასაკეთებელი გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის ორგანიზაციის, მშრომელთა კეთილდღეობის, მათი სოციალურ-კულტურული მომსახურების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაყენებისათვის.

დასამალი არ არის, რომ სოფლად მოისუსტებდა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. მართალია კოლმეურნეობაში დინერგა საოჯახო იჯარა, მაგრამ ზოგიერთმა კოლმეურნემ არ მოუარა გაპიროვნებულ სიმინდისა და ვენახის ფართობებს და ძალზე დაბალი მოსავალი მიიღო. ამასთან მოიჯარეთა ერთმა ნაწილმა კოლმეურნეობაში არ მიიტანა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტები, ბევრმა თვითნებურად შემოიკავა მიწის ნაკვეთები. აგვისტოს დასაწყისში გადაიდგა პირველი ნაბიჯები გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის საქმეში. წიფერჩის კოლმეურნეობაში ჩატარდა კოლმეურნეთა საერთო კრება. მიიღეს გადაწყვეტილება კოლმეურნეობის გაუქმებისა და გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის თაობაზე, შექმნეს კომისია, მაგრამ ამის შემდეგ რაიმე მუშაობა არ მიმდინარეობს.

მართალია ტარდება საბჭოს სესიები, აღმასკომის სხდომები, მაგრამ საკითხების მომზადება-განხილვაში ერთი და იგივე დეპუტატები მონაწილეობენ, ზოგიერთი გადაწყვეტილება ზოგადია, ბევრი არ სრულდება, ამიტომაა, რომ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, რადიო და ელექტრო მომსახურებაში.

1986 წლიდან სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში არ მუშაობს რადიო. მოძველებულია ელექტრო გადამცემი ხაზების საყრდენი ბოძები, ქსელი საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს, სასოფლო საბჭოს აღმასკომი ამის შესახებ აყენებს საკითხს შესაბამის ორგანიზაციაში, მაგრამ დღემდე ამ ქსელის მოწესრიგებისათვის არავის უზრუნია, ხშირია ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევები საყრდენი ბოძების წაქცევის გამო. გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს საჭიროებს სასოფლო კულტურის სახლი და თვით სასოფლო საბჭოს შენობა. საყოფაცხოვრებო მომსახურების არცერთი ობიექტი არ არის ჩქუმში, ქულბაქში, ლარჩვალში. სოფელ ბარდნალაში ხელოსანი არ ჰყავთ და საპარიკმახერო გამოკეტილია.

როგორც ვხედავთ წიფერჩის რეგიონში ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი, ზოგი მათგანის გადაწყვეტა საბჭოსა და მის დეპუტატებს ნამდვილად არ შეუძლიათ, მათი შესრულებისათვის პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგან კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, კულტურის განყოფილების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსა და რაიონული რგოლის სხვა შესაბამის ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა.

ვლ. დავითულიანი.

ჟურნალისტები გაფიცვით იმუქრებიან

ტვერი, 22 აგვისტო. საკდესის კორ. მ. ამაევი). პოლიტიკური გაფიცვით იმუქრებიან ტვერის ოლქის რაიონული გაზეთების რედაქციათა მუშაკები. ამ გაზეთების რედაქტორთა საბჭომ მიმართვა გაუგზავნა სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, მის აღმასკომს და რუსეთის სფსრ ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის მინისტრს. მიმართვაში ნათქვამია, რომ თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ გამოჰყოფენ სახსრებს რაიონული ჟურნალისტების ხელფასის მომატებისათვის, მაშინ რედაქციათა შრომითი კოლექტივები დააყენებენ საკითხს, შეწყდეს გაზეთების გამოშვება მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან.

როგორც ცნობილია, 1990 წლის 28 ივნისს სსრ კავშირის ბეჭდვსახკომის ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს პრესის მუშაკთა ხელფასის [illegible] ატებას. მაგრამ რაიონული გაზეთების რედაქციებმა აბუჩად აგდებად მიიჩნიეს წინადადება თავად გამოეძებნათ ფული ამ მიზნებისათვის, ვინაიდან ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. შტატები ისედაც მინიმუმამდეა შემცირებული, რეკლამის პუბლიკაციის შესაძლებლობა ძალზე უმნიშვნელოა, ხოლო დამფუძნებლებს—პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს—არ გააჩნიათ თავისუფალი სახსრები. ბრძანებაში რეკომენდებულია კიდევ ერთი გამოსავალი—ეძებონ სპონსორები, მაგრამ ეს რედაქციას ამ სპონსორებზე დამოკიდებულს გახდის. რაიონული პრესის მუშაკთა ხელფასის მომატების ერთადერთი შესაძლებლობაა გამოჰყონ სახსრები ბიუჯეტიდან, მიაჩნიათ გაზეთების რედაქტორებს.

ი. ა. ბუნინს ეძღვნება

ლიპეცკის ოლქი. წელს, შემოდგომაზე გამოჩენილი რუსი მწერლის ივან ალექსის ძე ბუნინის შემოქმედების თაყვანისმცემლები აღნიშნავენ მისი დაბადებიდან 120 წლისთავს. ახლახანს გაიხსნა მისდამი მიძღვნილი ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, ის მოთავსდა ელცეში, სადაც მან გაატარა გიმნაზიის წლები.

ბუნინის ტალანტის თაყვანისმცემლებს შეუძლიათ ელცეს ძველ ქუჩებში გასეირნება, ტბის ნახვა, ბუნინების საკარმიდამოს დათვალიერება.

სურათზე: ი. ა. ბუნინის ლიტერატურულ-მემორიალური სახლ-მუზეუმი ელცეში.

საპენსიო კანონი

მხედველობაში მიიღება შესაბამისად, ისევ მინიმალური ხელფასის 85, 70, 55, 40, 25 და 15 პროცენტის ოდენობით.

მაგალითად მოქალაქეს, რომელსაც ასაკის მიღწევის გამო ენიშნება პენსია, საშუალო ხელფასი აქვს 350 მანეთი, ახალი კანონის შესაბამისად მისი პენსიის გამოანგარიშება მოხდება არა აღნიშნული თანხიდან, არამედ აიღება მისგან ამჟამად მოქმედი მინიმალური ხელფასის (70 მანეთი) ოთხჯერადი ოდენობა (280) და მას დაემატება მინიმალური ხელფასის (70 მანეთი) 85 პროცენტი, (ე. ი. 59 მანეთი და 50 კაპიკი, ვინაიდან ოთხჯერად მინიმალურ ხელფასს, 280 მანეთს, ერთი სრული მინიმალური ხელფასით აღემატება მოქალაქის საშუალო ხელფასი და მიღებული თანხიდან 239 მან. და 50 კაპიკიდან მოხდება პენსიის გამოანგარიშება. ყველა შემთხვევაში ხელფასის ნაწილი, რომელიც აღემატება მინიმალური ხელფასის გაათკეცებულ ოდენობას, მხედველობაში არ მიიღება.

ბუნებრივია, მკითხველს უკმაყოფილების გრძნობა დაეუფლება ჩემი წერილის აღნიშნული მონაკვეთის წაკითხვისას და აღმოხდება—ვის რაში სჭირდება ამდენი გართულება პენსიის ოდენობის განსაზღვრის დროს, არ შეიძლებოდა უფრო მარტივად, გადაწყვეტილიყო ყველაფერი? სავსებით ვუერთდებით მათ აზრს, ამ დარგის სპეციალისტებიც მოუთმენლად მოველოდით გამარტივებულ კანონს, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. რას ვიზამთ „კანონი კანონია“.

მაშ, მივყვეთ პენსიის გამოანგარიშების საკითხის განმარტებას.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით თუ ხელფასი 100 მანეთს აჭარბებს, ასაკის პენსია ინიშნება ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით, იმ მოტივით რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული პენსიის ოდენობის შესაძლო შემცირება ხუთი წლის საშუალო ხელფასიდან პენსიის გამოანგარიშებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ახალი კანონით გათვალისწინებულია ასაკის პენსიის დანიშვნა ხელფასის 55 პროცენტის ოდენობით, ეს იქნება პენსიის ე. წ. საბაზო ნორმა, გარდა ამისა პენსიის დასანიშნად საჭირო სტაჟის ზეევით მუშაობის თითოეული სრული წლისათვის **პენსიაზე** დაემატება ხელფასის ერთი პროცენტი, მაგრამ ამ დანამატის შემდეგ პენსიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 75 პროცენტს. მოხუცებულობით პენსიის მინიმალური ოდენობა შეადგენს მინიმალური ხელფასის 100 პროცენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ მინიმალური ხელფასის გადიდებასთან ერთად გაიზრდება პენსიის მინიმალური ოდენობაც.

არამომუშავე მოხუცებულობით **პენსიონერებისათვის** კანონი ითვალისწინებს დანამატის დარიცხვას ოჯახის თითოეულ შრომისუუნარო წევრზე სოციალური პენსიის ოდენობით. აღნიშნული დანამატი ამჟამად მოქმედი კანონით არის გათვალისწინებული, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს ძირითადი პენსიის 15 პროცენტზე მეტი, რაც გაცილებით ნაკლებია ახალი კანონით გათვალისწინებულთან შედარებით.

კანონი მოხუცებულობის პენსიაზე ახალი სახის დანამატებსაც ითვალისწინებს: 80 წელს გადაცილებულ მარტოხელა მოხუცს მოვლისათვის დაუწესდება დანამატი სოციალური პენსიის ოდენობით.

ომის ინვალიდებს მოხუცებულობის პენსიები გაუდიდდებათ „სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ინვალიდობის პენსიების მინიმალური ოდენობით, ხოლო ომის სხვა მონაწილეებს და ინტერნაციონალური მოვალეობის შემსრულებელ პირებს მოხუცებულობის პენსიაზე დაემატებათ ასაკობრივი მინიმალური პენსიის (70 მანეთი) 25 პროცენტი.

რაც მთავარია, დახმარება შეიძლება დაერიცხოს პენსიის მინიმალურ ოდენობაზე და არ შედის პენსიის მაქსიმალურ ოდენობაში (ხელფასის 75 პროცენტი), რაც ამჟამად მოქმედი კანონით დაუშვებელია.

კანონი ითვალისწინებს არასრული სტაჟით მოხუცებულობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების დანიშვნას, როცა მოქალაქეს არა აქვს სრული შრომის სტაჟი, ამასთან მოხსნილია ყოველგვარი შეზღუდვები, რაც ამჟამად მოქმედი კანონით არის გათვალისწინებული.

(დასასრული მორიგ ნომერში).

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის

გადაწყვეტილება

განზომილების ტექნიკის სახელმწიფო სავალდებულო შემოწმების ჩატარების შესახებ

„სახელმწიფოში ერთიანი განზომილების უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 აპრილის დადგენილების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომმა

გადაწყვიტა:

დაევალოს რაიონის წარმოება-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სამომხმარებლო კოოპერაციებს, ორგანიზაციებს:

მიმდინარე წლის 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე წარადგინონ განზომილების ტექნიკა სახელმწიფო სავალდებულო შემოწმებაზე სახსტანდარტების დროებით განყოფილებაში, რომელიც მდებარეობს ცაგერის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს ტერიტორიაზე.

გამოყონ გრძანებით პასუხისმგებელი პირები განზომილების ტექნიკის მოვლა-პატრონობაზე და მათი სახელმწიფო შემოწმებაზე დროული წარდგენისათვის.

სახელმწიფო შემოწმების დადგენილ ვადამდე შეკეთებული იქნეს სასწორის ფარდულები, პლატფორმები, მისასვლელი და გასასვლელი გზები, გასუფთავდეს ორმოები, სასწორებთან წესის მიხედვით დაიდგას სიჩქარის შემზღუდავი ნიშნები.

სახელმწიფო შემმოწმებლის მთელი სამუშაო დღის დატვირთვის მიზნით რაიონის წარმოებებმა და ორგანიზაციებმა დროებით განყოფილების უფროსს წარუდგინონ განაცხადი არა უგვიანეს 2 დღისა.

სტაციონარულად დადგმული ან ობიექტებზე კონცენტრირებული საზომ-საწონი ხელსაწყოების შემოწმების ჩასატარებლად განცხადებაში უჩვენონ საზომ-საწონი ხელსაწყოების ტიპი, რაოდენობა და ტვირთწევის ზღვარი.

საზომ-საწონი ხელსაწყოების შემმოწმებელს შემოწმების დროს წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა გაუწიონ დახმარება მუშახელით, მოწყობილობით, დანადგარებითა და ტრანსპორტით.

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ გაუკეთოს ორგანიზაცია იმ მწონავების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რომლებიც დაკავებული არიან საავტომობილო სასწორების მომსახურებით.

ვაჭრობის ობიექტების და სამომხმარებელო კოოპერაციის ხელმძღვანელობამ ჩაატარონ სემინარები საცალო ვაჭრობისა და საზკვების მუშაკებთან „მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და მომხმარებელთა ანგარიშსწორების დროს სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში საზომ-საწონი ხელსაწყოების გამოყენების წესების შესახებ“.

აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სახსტანდარტების დროებით განყოფილების უფროსს ამხ. უ. რ. ზალკალიანს და რაიონული საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეს გ. ვ. ხეცურიანს, საგეგმო კომისიას.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — დ. სვანიძე.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანი — ნ. ტვილდიანი.

ცაგერი, 24 აგვისტო 1990 წელი.

ეს საინტერესოა

სამხეცე სახლში

პარიზი: საფრანგეთის ქალაქ ნანტის 37 წლის მცხოვრები ფილიპ ჟილე, ცენტრალური აფრიკის ყოფილი პროფესიონალი მონადირე, თავისი მეზობლების მოთხოვნით სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს. მიზეზი—მისი უჩვეულო გატაცება იყოლიოს იშვიათი რეპტილიები. სამი წლის განმავლობაში მან გაიჩინა მთელი საოჯახო ზოოპარკი, რომელშიც ორმოცამდე ცხოველი ჰყავს, მათ შორის არიან ნიანგი, პითონი, სხვადასხვა სახეობის გველები, ერთი იგუანა და თვით მორიელიც. ყოფილი მონადირე ამბობს, რომ ყველა ისინი „ადამიანისაგან ნაკლებად შესწავლილი და ამოუცნობი ცხოველები არიან“.

მაგრამ ფ. ჟილეს მეზობლებში მისი ეგზოტიკური გატაცება, როგორც ჩანს სრულიადაც არ იწვევს აღტაცებას. მეზობლებმა ბოლოს და ბოლოს სასამართლოში იჩივლეს. თვითონ ფ. ჟილე გაოცებულია ამ ნაბიჯით, მას თავი „ჩვეულებრივ კერძო კოლექციონერად „მიაჩნია“. მაგრამ საფრანგეთის სასამართლოს არ შეუძლია მისი დასჯა, ვინაიდან ყველა რეპტილიას ინახავს დადგენილი წესების თანახმად და უსაფრთხოების ღონისძიებათა დაცვით.

ჯილოცავთ

ეთერ სოგრატის ასულ ასათიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას.

ტვიშის საექიმო ამბულატორიის და აფთიაქის თანამშრომლები.

ცაგერში ამერიკული ფილმის პრემიერაა

საქართველო—ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი საწარმო „ამსაქფილმი“ გვთავაზობს ამერიკელი რეჟისორის ენტონ დოუსონის მხატვრული ფილმის „უცხოელი და მსროლელი“ პრემიერას, რომელიც ქალაქის კინოთეატრის ეკრანზე ნაჩვენები იქნება სექტემბრის თვის 7-8 და 9 რიცხვებში.

ფილმი სათავგადასავლო მძაფრ სიუჟეტზეა აგებული. მასში ჩვენი მაყურებელი ნახავს ცნობილ კინომსახიობებს ლი ვან კლიფს და კუნ ფუს. მასში მონაწილეობს აგრეთვე კარატეს დიდოსტატი ლოლიეჰი.

ფილმმა „უცხოელი და მსროლელი“ საქართველოში მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამიტომ „ამსაქფილმის“ სპეციალური ჯგუფი თავად უჩვენებს ამ ფილმს ცაგერელ მაყურებელს.

ბ. ხეცურიანი,
ცაგერის კინოფიკაციის დირექტორი.

ცაგერის წიგნის მაღაზიაში მიღებულია და გაყიდვაშია შემდეგი სახის ლიტერატურა:

რევაზ ბარამიძე, ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან, თბ. „მეცნიერება“, 1990 წ.

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან მონაკვეთს. მასში იაკობ ცურტაველის შემოქმედებიდან მოყოლებული დავით გურამიშვილის პოეზიით დამთავრებული, გამოკვლეულია ქართული ლიტერატურის არა ერთი საკვანძო საკითხი.

წიგნი სარგებლობას მოუტანს როგორც სპეციალისტებს, ისე მოსწავლე-ახალგაზრდობას და ჩვენი მწერლობით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

შენთვის, მკითხველო!

ნესტორ ყუბანეიშვილი, ძველი აღთქმის საღვთო ისტორია. თბ. 1990.

ავტორს მიზნად დაუსახავს შეედგინა „სეთი სახელმძღვანელო, რომელიც გამართული იქნებოდა იმხანად არსებული საერო და სასულიერო სასწავლებლის პროგრამების კვალობაზე. უნდა ითქვას, რომ ამ საქმისათვის დეკანოზ ნ. ყუბანეიშვილს მშვენივრად გაურთმევია თავი.

უეჭველად ეს წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ბიბლიის შესწავლით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

ზ. პავლიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ. „საბჭოთა საქართველო“ 1989წ.

ამ წიგნში ოთხი საისტორიო ნარკვევია. ისინი ეხებიან ჩვენგან დაშორებულ ხანას, მაგრამ ისეთს, როცა საქართველოს ცხოვრება წარმოადგენდა სურათს მერმინდელ თაობათათვის აზრითაც მიუწვდომელს.

ამ ეპოქამ ქართველების ხსოვნაში და გადმოცემებში განსაკუთრებული ადგილი დაიპყრა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამ წიგნში მოთავსებული და განხილული ცნობები დაიინტერესებს მკითხველს.

მოგონებები აკაკიზე, თბ. „საქართველო“, 1990 წ.

წიგნი წარმოადგენს მოგონებათა კრებულს დიდ მგოსანზე. მოგონებათა ავტორები არიან აკაკი წერეთლის თანამედროვე ცნობილი ქართველი მწერლები, თეატრალური და საზოგადო მოღვაწეები, პოეტის ახლო ნათესავები, მეგობრები და თანასოფლელები. ეს მოგონებანი ნათლად წარმოადგენს აკაკის პიროვნებას, მის მრავალმხრივ მოღვაწეობას, მთელ მის ცხოვრებას.

კრებული ეძღვნება დიდი ქართველი მწერლის დაბადების 150 წლისთავს.

ალექსი დუბროვსკი, ექიმის ღია წერილი მასწავლებელს, თბ. 1989 წ.

ეს ნაშრომი მოწოდებაა, მოთხოვნაა, რომ დავუბრუნოთ ბავშვებს დაკარგული სითბო, ჰუმანიზმი. შემაშფოთებელი ფაქტებითა და ციფრებით ავტორი გვიჩვენებს ავტორიტარული მეთოდების დამღუპველ ზეგავლენას ბავშვთა ფსიქიკაზე.

მაია ჩორგოლაშვილი, „თითქოს აქ ვიყო დაბადებული“ თბ, „ნაკადული“, 1990წ.

ავტორი მოგვითხრობს იმ მოღვაწეებზე, ვინც საქართველოში დაიბადა, საქართველოში გარდაიცვალა, წლების განმავლობაში მოღვაწეობდა, ორჯერ ან მეტჯერ იყო თბილისში და იმათზე, ვისაც ბედმა არგუნა ერთხელ მაინც ჩამოსულიყო ჩვენს ქვეყანაში.

უილიამ ფოლკნერი, აბესალომ, აბესალომ, თბ, „საბჭოთა საქართველო“, 1989 წ.

ჯერ კიდევ ბავშვი იყო ამ რომანის მთავარი გმირი ტომას საატპენი, როდესაც მე-19 საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების ადათ-წესებმა და ტრადიციებმა მწარედ შეურაცხყვეს იგი და მაშინ დაიფიცა, ძალითა და დიდებით უნდა ვაჯობო ამ მხარის მდიდარ არისტოკრატ-პლანტატორებს და საუკუნოდ დავამკვიდრო ჩემი მეობა და დინასტია.

მარტივად თუ ვიტყვით, სწორედ ასეთია ამ რომანის ძირითადი ხაზი. გვიანდელი თაობის სხვა გმირებს კი, მაგალითად, კვენტინ კომპსონსა და მის უნივერსიტეტელ მეგობარს შრივს კარგად ესმით სატპენის თავგადასავლის სიღრმე-სირთულე და მის ახსნა-განვითარებას ცდილობენ. ამიტომ იშველიებს კვენტინი საკუთარ თუ სხვათა მოგონებებს და თავის ამხანაგთან ერთად ლოგიკური მსჯელობით აღადგენს გარდასული ხანის ადამიანების არა მარტო ფიქრებსა და განცდებს, არამედ გარკვეულწილად იმათ არაცნობიერ სამყაროსაც.

ნოვალისი, ჰაინრიც ფონ ოფტერდინგენი, თბ. „ნაკადული“, 1989 წ.

ეს ნაწარმოები თავად ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პოეზიის ეპოთეოზად“ გვევლინება. მასში ზღაპრულ-მითიური სინამდვილე გადაქსოვილია რეალურთან და ცხოვრების სიმბოლური გააზრების ფონზე ნაჩვენებია პოეტის პოეზიის უნივერსალური დანიშნულება.

დავით მჭედლური, პირველი მოხელის ცხოვრების ქრონიკა, თბ. „მერანი“ 1990 წ.

ეს რომანი ავტორის პირველი პროზაული ნაწარმოებია, იგი აღწერს პარტიულ აპარატში გაბატონებულ ბიუროკრატიზმსა და უსულგულობას, რომელიც ტოტალიტარიზმის დასაყრდენად იქცა და კრიზისამდე მიიყვანა საზოგადოება.

იმედია, მას დიდი ინტერესით მიიღებს მკითხველი.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ჯაბო ჩაჩხიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვილგემ (პუშკინა) ალექსანდრეს ძე თვარაძე.

ჩვენი მისამართი: 384100 — ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სახალხო მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ინდექსი 66539, შეკვეთა 92 ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი ხელოვნების სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.